განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამთო და გეოინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

„26, 28“ აპრილი 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

„14“ ივნისი 2021 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211 349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამთო და გეოინჟინერია Mining and geoengineering
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სამთო და გეოინჟინერიის მაგისტრი Master of Mining and Geoengineering
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამთო საქმე და მოპოვება 0724 Mining and Extraction 0724
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის №487 გადაწყვეტილება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დონდოლაძე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზურაბ მეგრელიშვილი სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	კახა ქოიავა, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო უგრეხელიძე - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი - კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო პროგრამა „სამთო და გეოინჟინერია“ აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის №487 გადაწყვეტილებით. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 თებერვლის N222 განკარგულებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების პროგრამების ხელახალი აკრედიტაციის ვადად განისაზღვრა 2021 წლის 1 ივლისი. შესაბამისად, სამთო და გეოინჟინერიის სამაგისტრო პროგრამა აკრედიტებულია 2021 წლის 1 ივლისამდე. ხელახალი აკრედიტაციისათვის პროგრამა წარმოდგენილი იქნა განახლებული ფორმით. პროგრამაში კომპონენტთა ერთობლიობა 120 კრედიტს შეადგენს. საგანმანათლებლო პროგრამაში, პროგრამის ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში აღწერილია კომპონენტის მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის

შესაბამისად, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლების/სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. ყოველივე ეს კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსების სწავლება ეფუძნება სააუდიტორიო მუშაობას, პრაქტიკას და სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას. სააუდიტორიო სამუშაოს ფორმებს: ლექცია, ჯგუფში მუშაობა და პრაქტიკულ/ლაბორატორიული მეცადინეობები, სწავლის პროცესში შემთხვევის ანალიზის, დისკუსიის, დებატების, წერითი მუშაობის, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების, დემონსტრირების, ანალიზის და სინთეზის მეთოდებს.

სპეციალობის სასწავლო კურსებში განახლებულია ლიტერატურა, შეცვლილია შეფასების კომპონენტები და მეთოდები.

საექსპერტო შეფასებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის დამუშავებაში ძირითადად ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, ცვლილებები განხორციელებულია კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებლებისაგან მიღებული ინფორმაციის გაანალიზების, ასევე დარგის მოთხოვნების გათვალისწინებით. იგი ეთანხმება დარგში არსებულ გამოწვევებს და დამუშავებულია სწავლის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

პროგრამის თანმხლები დოკუმენტაცია მოიცავს საჭირო ინფორმაციას და ლოგიკურად ებმის ერთმანეთს. ინტერვიუების დროს გამოჩნდა ხელმძღვანელობის, პერსონალის, სტუდენტთა და კურსდათმთავრებულთა ჩართულობა და დაინტერესებულობა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 15 აპრილის № MES 361208 ბრძანების საფუძველზე 2021 წლის 26-28 აპრილს განხორციელდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამის "სამთო და გეოინჟინერია" საექსპერტო შეფასება. პროგრამის შეფასება ქვეყანაში არსებული COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით, განხორციელდა ნაწილობრივ დისტანციურად. კერძოდ, 26 აპრილს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა, სტუ-ში ვიზიტის ფარგლებში, დაათვალიერეს შახტა-ლაბორატორია, ვერტიკალური გვირაბებისა და კამერების ერთობლიობა, რომლებიც აღჭურვილია სამთო–
შახტური მოწყობილობებით, მექანიზმებითა და საწარმოო პროცესების მართვის ავტომატიზირებული საშუალებებით, მიწისქვეშა ელექტრომომარაგების მთელი სისტემით.
ასევე ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა. 28 აპრილს 10.00 ÷18.30 პერიოდში კი შეფასება, აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, ონლაინ პლატფორმა - zoom-ის გამოყენებით ჩატარებული ინტერვიუების გათვალისწინებით განხორციელდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი წინასწარ გაეცნო სააკრედიტაციო მასალას, ხოლო დაწესებულებაში შეფასების მიმდინარეობის დროს, ექსპერტები შეხვდნენ პროგრამაში ჩართულ მხარეებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შემოწმდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანამათლებლო პროგრამა "სამთო და გეოინჟინერია", რის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1.პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

1.2.პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2.საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.3. სასწავლო კურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.4.პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანს ფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.6. სტუდენტების შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

3.2.მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.1.ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.2.აკადემიური, სამეცნიერი და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.3.მატერიალური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.4.პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.1. შიდა ხარისხის შეფასება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.2. გარე ხარისხის შეფასება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.3.პროგრამის მონოტორინგი და პერიოდული შეფასება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

რეკომენდაცია 2.2 სტანდარტთან მიმარებით:

მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა აკადემიური წერის სტანდარტების შესახებ სასწავლო კომპონენტი გაითვალისწინოს სავალდებულო კომპონენტთა შორის, რათა სტუდენტებს მისცეს ცოდნა და უნარების სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების მიზნით.

რეკომენდაცია 5.1. სტანდარტთან მიმართებით:

1. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მარეგულირებელი შიდა აქტების შემუშავება, რათა მათ ერთგვაროვანი ხასიათი ჰქონდეს დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის სწავლების ყველა საფეხურზე;

2. მუდმივად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დაწესებულებაში მოქმედი შიდა აქტების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ ნორმებთან, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების პარალელურად;

3. პროცესები მეტად ფორმალიზებული და გაწერილი უნდა იყოს, მათი სავალდებულოდ შესრულების მიზნით.

4. დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ცნობიერების ამაღლება კვლევითი ნაშრომის შესასრულებლად აკადემიური წერის სტანდარტებისა და პლაგიატის თაობაზე;

5. დაწესებულებამ პერსონალის აკადემიური დატვირთვის გაანგარიშების კომპონენტში უნდა გაითვალისწინოს სტუდენტთა რაოდენობრივი კვოტა, რომელთა კვლევითი ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა შეუძლია მასთან დასაქმებულ პერსონალს.

რეკომენდაცია 5.2. სტანდარტთან დაკავშირებით:

პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო გარე შეფასების პროცედურებისა, განახორციელოს პროგრამის გარე შეფასება ისეთი პროცედურების მეშვეობით, როგორიც არის განმავითარებელი შეფასება, მოწვეული ექსპერტების მიერ პროგრამების შეფასება და დასახოს სამოქმედო გეგმა მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებითსათვის.

რეკომენდაცია 5.3. სტანდარტთან მიმართებით:

1. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების მარეგულირებელი, სავალდებულო ერთიანი შიდა აქტი, რომელიც დეტალურად აღწერს შეფასების განხორციელების პროცესს;
2. აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის არსებობა შეფასების შედეგების შემდგომი გამოყენებისა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის;
3. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა პირს;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

რჩევა 1.1 სტანდარტთან მიმართებით: სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას ჩამოყალიბებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ისეთი მექანიზმი იქნება პროგრამაში გათვალისწინებული, როგორიცაა უცხოელი პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მოწვევა და მათი ჩართვა სწავლებასა და კვლევით საქმიანობაში.

რჩევა 2.4. სტანდარტთან მიმართებით: სასურველია, რომ
1. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას შეძლებისდაგვარად გამოყენებული იყოს უფრო თანამედროვე და ამასთან უცხოური (ინგლისურენოვანი) ლიტერატურაც;
2. ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას გამოყენებული ლიტერატურის მითითებისა და მოყვანის ერთი და იგივე წესი;

რჩევა 3.2. სტანდარტთან მიმართებით: სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით - კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, უსდ-მ განსაზღვროს სტრატეგია, რომლის თანახმად დაინტერესებს/წაახალისებს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს, მაქსიმალურად მოახდინონ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება. ამ სტრატეგიის განვითარებით, მაგისტრანტებს ექნებათ შესაძლებლობა, კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბდნენ; ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებს, სწავლის პროცესში, ასევე კვლევითი საქმიანობის დროს, ჰქონდეთ შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებთან ჰქონდეთ მჭიდრო კომუნიკაციის შესაძლებლობა; დაიგეგმოს საჯარო ლექციები/დისკუსიები პარტნიორი

საზღვარგარეთის უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის მონაწილეობით; შესაძლებელია მათი მოწვევა პროგრამის ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომების დამუშავების ეტაპზე - თანახელმძღვანელებად - განსაკუთრებით, უკვე კარგად ათვისებული ონლაინ სწავლების შესაბამისი პლათფორმების ინტეგრირებით; პარალელურად, სასურველია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რათა გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა - გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება;

რჩევა 3.2. სტანდარტთან მიმართებით: სასურველია, უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე დადგინდეს წესი, რომლის მიხედვით, განისაზღვრება რაოდენობრივი კვოტა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს ერთდროულად, რამდენი სამაგისტრო კვლევის ხელმძღვანელობის უფლება შეიძლება ჰქონდეს.

რჩევა 5.1. სტანდარტთან მიმართებით:

- მიზანშეწონილია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ელექტრონული სერვისების განვითარება, როგორც სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ასევე დაწესებულებისა თუ ფაკულტეტის ადმინისტრაციის სამუშაო პროცესის მენეჯმენტის უზრუნველყოფის მიზნით;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტების მეტი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციების შესახებ.
- მიზანშეწონილია, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, შესაბამისმა პასუხისმგებელმა სტრუქტურულმა ერთეულმა განახორციელოს დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი აქტების კოდიფიცირება, მასში ცვლილებების
- განხორციელების შემთხვევაში, რათა დაინტერესებულ პირებს ერთიან აქტში ჰქონდეთ მოქმედი მარეგულირებელი ნორმების გაცნობის შესაძლებლობა;
- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა შიდა რეგულაციის საბოლოო, მოქმედი რედაქცია.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. **დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესში** - როგორც აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში დამსაქმებლებთან გასაუბრებამ დაადასტურა, ისინი აქტიურად არიან ჩართულები პროგრამის განხორცილებისა და განვითარების პროცესში, არამხოლოდ მთლიანი პროგრამის, არამედ ცალკეული სასწავლო კომპონენტების განხორციელების დონეზე. ისინი აქტიურად თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან სასწავლო პრაქტიკისა და სტაჟირების განხორციელების მიზნით. ამასთან, თავად უზრუნველყოფენ საზაფხულო სკოლებისა და გრძელვადიანი ინდივიდუალური სასწავლო

პროგრამების განხორციელებას, რომლის შედეგების გათვალისწინებით, ხორციელდება ამ პროგრამებში მონაწილე სტუდენტების შემდგომი დასაქმება. უნივერსიტეტი და დამსაქმებლები ერთობლივად განიხილავენ დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს, მათი საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრაციის მიზნით.

2. უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო სივრცე და ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსები სტუდენტებისათვის - დაწესებულებაში ფუნქციონირებს უნიკალური ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილია როგორც უნიკალური ისტორიული გამოცემები, ისე თანამედროვე, განახლებული ლიტერატურა. გარდა აღნიშნულისა, უნივერსტეტს უზრუნველყოფილი აქვს წვდომა ცნობილ საერთაშორისო ელექტრონულ ბიბლიოთეკებზე. ამასთან, დაწესებულებამ უზრუნველყო ბიბლიოთეკაში მატერიალურად არსებული წიგნების სრულად გაციფრულება და ელექტრონული ვერსიების შექმნა, სპეციალური აპარატურის მეშვეობით. ამრიგად, ბიბლიოთეკა წარმოადგენს მოსახერხებელ და სრულყოფილ სამუშაო სივრცეს არა მხოლოდ სამთო და გეოინჟინერიის პროგრამის ან/და სტუ-ს სხვა პროგრამების სტუდენტების, არამედ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალისა და სტუდენტებისთვისაც.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამთო და გეოინნერიის სამაგისტრო პროგრამის მიზნია მოამზადოს მდგრადი სამთო საქმისა და მოპოვების სისტემური და სიღრმისეული ცოდნის მქონე მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი სამთო და გეოინჟინერიის დარგში. ჩამონათვალიდან ჩანს, რომ პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია ინჟინერიის შესწავლის მიმართულებით და დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სხვავადსხვა საინჟინრო კურსების დაუფლება/გაღრმავებას. მიზნები აგებულია სასწავლო კურესების შინაარსების მიხედვით და შესაბამისობაშია მათთან. წარმოდგენილი მიზნები შესაბამისობაშია დარგის თანამედროვე მოთხოვნებთან და ისინი სავსებით მიღწევადია წარმოდგენილი რესურსებით. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია. ჩამოყალიბებულია პროგრამის მიზნების და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, პროგრამის თითოეული მიზანი მიიღწევა საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგების ერთობლიობით. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა "სამთო და გეოინჟინერია" საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი ფაკულტეტის ვებ-გვერდზეა განთავსებული. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიურების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამის მოდიფიცირებისას გათვალისწინებულ იქნა უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია. სამეცნიერო და საგანმანათლებლო ურთიერთთანამშრომლობასთან დაკავშირებით, მათ შორის, აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების გაცვლითი პროგრამებისა და მივლინებების საკითხებზე, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტთან. თუმცა, სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის შესაბამისი სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. არსებული მოცემულობით, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებად მოაზრებულია უცხო ენის შემსწავლელი კურსები, რომელიც ჩაშენებულია პროგრამაში (ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა)

რაც დადებითად შეიძლება შეფასდეს, თუმცა კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის სხვა ისეთი აქტივობები იქნება მასში გათვალისწინებული, როგორიცაა უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მოზიდვა და მათი ჩართვა სწავლებასა და კვლევით საქმიანობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; საგანმანათლებლო პროგრამა; საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას ჩამოყალიბებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ისეთი მექანიზმი იქნება პროგრამაში გათვალისწინებული, როგორიცაა უცხოელი პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მოწვევა და მათი ჩართვა სწავლებასა და კვლევით საქმიანობაში.
- საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მოწოდებული მასალებიდან და საექსპერტო ჯგუფის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამაში ჩამოყალიბებული მიზნები შეესაბამება სწავლის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერთან და უზრუნველყოფს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სამთო და გეოინჟინერიის მაგისტრი (Master of Mining and Geoengineering) - მიენიჭება პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო (ბიზნესკომუნიკაცია, დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა) კურსების (10 კრედიტი), სავალდებულო სასწავლო კურსების (35 კრედიტი), სამიდან ნებისმიერი ერთი (სულ სამი კონცენტრაცია: 1.„წიაღისეულის მოპოვება“, 2. „სამთო ტექნოლოგიური პროცესები“, 3. „წიაღისეულის შეფასება“) კონცენტრაციის (75 კრედიტი) ათვისების შემდეგ, არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში. პროგრამა მისცემს სტუდენტებს პროფესიისთვის საჭირო ცოდნას და უნარს, რაც მომავალში წარმატებული კარიერის შექმნაში დაეხმარებათ.

სასწავლო კურსები თანმიმდევრულია და უზრუნველყოფს საბოლოო შედეგზე გასვლას. წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმიდან და თვითშეფასების დოკუმენტიდან ჩანს რომ, პროგრამა აგებულია, იმგვარად, რომ სტუდენტი იღებს საჭირო ცოდნას და ცოდნის რეალიზებას ახდენს საბოლოო ნაშრომის მომზადებაში, რაც იძლევა საშუალებას სწავლის პროცესშივე გამოვლინდეს მიღებული ცოდნის საკმარისობა. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, ამასთან, შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამთო და გეოიჟინერია“
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი და სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ფორმულირებულია შემდეგნაირად: მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე https://gtu.ge/StudyDep/News/?ELEMENT-_ID-=15211 გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული,

რუსული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატი ან უნდა ჩააბარონ გამოცდა სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. სავალდებულოა უცხოური ენის B2 დონეზე ფლობის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) დამადასტურებელი სერთიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა. აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ უცხოურენოვანი პროგრამა) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ; აპლიკანტი, რომელიც ვერ წარმოადგენს აღნიშნულ სერთიფიკატს, ვალდებულია ტესტირება გაიაროს სტუ-ს კომპიუტერულ ცენტრში ერთ–ერთ უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული). საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა სამართლიანი, გამჭვირვალე და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციაა. საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, როგორც სიახლეების ველში, ასევე სწავლების დეპარტამენტის გვერდზე ხდება ინფორმაციის განთავსება საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესებისა და პროცედურების შესახებ. ფაკულტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას ასევე მის შინაარსობრივ მხარესაც. უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდზე, ასევე ფაკულტეტის ვებგვერდზე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია. ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია და ნებისმიერი საკითხის კონსულტაცია, როგორც სატელეფონო, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამთო და გეოინჟინერია“; ● სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები); ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამთო და გეოინინერია“ სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური; პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: 10 ECTS კრედიტი განკუთვნილია არჩევითი-სასწავლო (საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე, დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა) კომპონენტისთვის; 35 ECTS კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო კომპონენტისთვის; 75 ECTS კრედიტი კონცენტრაციისათვის. სულ სამი კონცენტრაცია: 1. წიაღისეულის მოპოვება

2. სამთო ტექნოლოგიური პროცესები
3. წიაღისეულის შეფასება

თითოეული კონცენტრაცია შედგება სავალდებულო კომპონენტებისაგან (45 ECTS კრედიტი), ხოლო 30 ECTS კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა).

კვლევითი კომპონენტი გულისხმობს კვლევით სამუშაოებს, რომელიც მიმართულია მაგისტრატურის სტუდენტის უნარის განვითარებაზე დამოუკიდებელ თეორიულ და პრაქტიკულ მსჯელობასა და დასკვნების გაკეთებაში. კვლევითი კომპონენტი წარმოადგენს კონცენტრაციის განუყოფელ ნაწილს და სრულდება არჩეული კონცენტრაციის თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. თუმცა საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის შესრულებისათვის საჭირო ცოდნის მისაღებად, აკადემიური წერის სტანდარტების სასწავლო კომპონენტი. შესაბამისად, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა აღნიშნული სასწავლო კომპონენტი გაითვალისწინოს სავალდებულო კომპონენტთა შორის, რათა სტუდენტებს მისცეს ცოდნა და უნარების სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- დამსაქმებლისა და შრომის ბაზრის კვლევა
- დეპარტამენტის სხდომის ოქმები
- ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა აკადემიური წერის სტანდარტების შესახებ სასწავლო კომპონენტი გაითვალისწინოს სავალდებულო კომპონენტთა შორის, რათა სტუდენტებს მისცეს ცოდნა და უნარების სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მოწოდებული მასალებიდან და საექსპერტო ჯგუფის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სილაბუსში წარმოდგენილი სასწავლო მასალების უმეტესი ნაწილი წარმოადგენს 2005-2020 წლებში გამოცემულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს და სალექციო კურსებს. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და შესაბამისად უზრუნველყოფს სწვლის შედეგს. თუმცა აქა-იქ შეინიშნება უფრო ადრინდელი გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელოები. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამაში არსებულ სწავლის შედეგებთან, რაც წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის ცხრილის სახით. თითოეული სასწავლო კურსის და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ რანჟირებულ კვალიფიკაციათა მეშვიდე დონეს. ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სამთო და გეოინჟინერიის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეულ სასწავლო კურსში გაწერილია სწავლის შედეგები, რომელიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. თითოეულ სასწავლო კურსში გაწერილია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამთო და გეოინჟინერია“. ● სასაწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები); ● ბიბლიოთეკის კატალოგი http://opac.gtu.ge/; ● საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნის/საგნების მითითებით; ● სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;

• ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში შემავალი საგნების უმეტესი ნაწილი თეორიასთან ერთად მოიცავს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტებით. პროგრამა მოიცავს ისეთ სასწავლო კურსებსაც, რომლებიც მიმართულია სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარება-განმტკიცებაზე, რაც ემსახურება ათვისებული დისციპლინების შესაბამისად, სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და, ზოგადად სწავლის შედეგების განმტკიცებას. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, გაიარონ პრაქტიკა საჯარო ან კერძო ორგანიზაციებში უნივერსიტეტსა და შესაბამის ორგანიზაციას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში. აღნიშნული აქტივობა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, გააკეთონ არჩევანი საკუთარი ინტერესის შესაბამისად და პრაქტიკა გაიარონ სხვადასხვა დაწესებულებებში. ინტერვიუს შედეგებით დადასტურდა, რომ სტუდენტებს, რომელიც დასაქმებული არიან კონკრეტულ ორგანიზაციაში, შესაძლებლობა მიეცათ, დასაქმებამდე გაევლოთ პრაქტიკა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ სტუდენტები, უნივერსიტეტის ხელშეწყობით, მონაწილეობენ კურიკულუმს მიღმა დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებში, რომლებიც პრაქტიკული უნარების გაღრმავებას/განვითარებას უწყობს ხელს. პრაქტიკის გავლის პერიოდში ისევე, როგორც

სამეცნიერო-კვლევით პროექტში მონაწილეობისას, სტუდენტებს ხელმძღვანელობას უწევენ დარგის კვალიფიციური სპეციალისტები, რომელებიც ახორციელებენ სტუდენტების აქტიურობის მონიტორინგს - სტუდენტების შეფასების მიზნით. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების სახით, პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია თანამედროვე, კომპიუტერული სისტემით აღჭურვილი სამუშაო ოთახები, საბიბლიოთეკო სივრცეები, სპეციალური ლაბორატორიები, უნიკალური - მუზეუმები, შახტები - რომელსაც პროგრამის განხორციელების მიზნიდან გამომდინარე - უმთავრესი დანიშნულება აქვს. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, რაც მათ ხელს უწყობს პროფესიისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია თანამედროვე აღჭურვილობის საბიბლიოთეკო სივრცეები, დაწესებულებას აქვს წვდომა საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებზე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საქართველოს მასშტაბით გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში., უნივერსიტეტის სამეცნიერო პროექტების ფარგლებში ქვეყნდება წარმატებული სტუდენტების ნაშრომები პროფესორ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით დამუშავებული საკონფერენციო თეზისები, სტატიები. დაწესებულება მაქსიმალურად უცხადებს მხარდაჭერას სტუდენტებს და საჭიროების შემთხვევაში, მზადაა გამოყოს დაფინანსება/სტიპენდია პარტნიორ ორგანიზაციების თანადაფინანსებით მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის სწავლის თუ სამეცნიერო პროექტის დასაფინანსებლად.

მოწოდებული მასალებზე (მოწოდებული იქნა დაბალი, საშუალო და მაღალი შეფასების ექვსი სამაგისტრო ნაშრომი) დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ

1. სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას ინგლისურენოვანი ლიტერატურა მწირადაა ჩამონათვალში.

2. სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობისას, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალის მიხედვით, ტექსტში გამოყენების ადგილები ნაკლებადაა ნაჩვენები. კერძოდ ლიტერატურული მიმოხილვა ისე მთავრდება, რომ არ ჩანს ჩამოთვლითაგან რომელია განხილული აღნიშნულ თავში და მხოლოდ მე-20 ან 27-ე გვერდიდან იწყება. თუმცა ასეთი ნაშრომები შესაბამისადაა შეფასებული.

საყურდღებოა ისიც, რომ ფაკულტეტზე ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის მითითებისა და მოყვანის წესი ერთნაირი უნდა იყოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: სამაგისტრო პროგრამა; პროგრამის სილაბუსები; პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი; სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია; კურიკულუმის რუკა; სასწავლო გეგმა; აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; უნივერსიტეტის ვებ-გვერდი *(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი).*

რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, რომ 1. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას შეძლებისდაგვარად გამოყენებული იყოს უფრო თანამედროვე და ამასთან უცხოური (ინგლისურენოვანი) ლიტერატურაც; 2. ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას გამოყენებული ლიტერატურის მითითებისა და მოყვანის ერთი და იგივე წესი;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებელი სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება პროგრამის საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსითა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრული კურსის მიზანი, მისაღწევი შედეგები, მიზნების მიღწევის მეთოდები და გამოყენებული აქტივობები შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული სწავლის მეთოდები და აქტივობები შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსსა და სპეციფიკასთან. სასწავლო კურსით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიცაა, ლექცია, სემინარი (ჯგუფში მუშაობა), პრაქტიკული მუშაობა, პრაქტიკა, სამუშაო, პროექტი. პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებელი სწავლების მეთოდები შეესაბამება პროგრამის მიზნებისა და შედეგებისთვის დადგენილ სამაგისტრო პროგრამის საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსითა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, თვითშეფასების ანგარიში, პროგრამის სილაბუსები, ინტერვიუ - პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და

კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების კანონით დადგენილი კრიტერიუმები. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილი სტუდენტისათვის. სამაგისტრო პროგრამის შესაბამისად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. სასწავლო კურსი მთლიანობაში ფასდება 100 ქულით. თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სტუდენტთა შეფასების ზოგადი წესის შესაბამისობა კანონმდებლობასთან დასტურდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებით, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას, გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე მეთოდები. სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები, შესაბამისი კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოიცავს, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკული დავალებების შესრულებას. ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს მაგისტრანტთა პროგრესის პერიოდულ შეფასებას მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ; სამაგისტრო ნაშრომების დაცვა ხდება დაწესებულებაში არსებული ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით, კომისიური წესით. სტუდენტები და კურსდამთავრებულები ექსპერტებთან ინტერვიუს პროცესში გამოხატავდნენ კმაყოფილებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის, მათ შორის, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სერვისების, მიმართ. პროგრამის

განხორციელების ფარგლებში მოქმედებს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რაც დეკანის მონაწილეობით სპეციალური კომისიის მიერ სტუდენტის აპელაციის განხილვას გულისხმობს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; საგანმანათლებლო პროგრამა; დებულება; საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) მიერ სამთო და გეოინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო და გეოინჟინერიის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდასამართლებრივი აქტებით, ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგებია სტუდენტებისთვის. პროგრამის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესების თანახმად - სტუდენტი იღებს კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ვიზიტის დროს, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული თუ დამხმარე პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებული სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, დაწესებულების მიერ ეფექტურად გამოიყენება პრაქტიკაში და მაქსიმალურად სტუდენტების ინტერესებზეა მორგებული. სტუდენტებისათვის სხვადასხვა ფორმით, მათ შორის უნივერსიტეტის ელექტრონული ვებ-გვერდის მეშვეობით, მარტივად არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციების, ღონისძიებების, აკადემიური აქტივობების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების თუ სხვა ტიპის მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ მათთვის სასურველი სასწავლო კურსი. სასწავლო კურსების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის არჩევის პროცესში დაწესებულება სტუდენტთა ინტერესებს ითვალისწინებს. სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ ყველა საჭირო ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, საბიბლიოთეკო რესურსებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე. უნივერსიტეტის ხელშეწყობით ყველა ჩამოთვლილი სერვისის ხელმისაწვდომობა მოქნილი და კომფორტულია. დაწესებულებამ, პროგრამის მოდიფიკაციის მიზნით, დამსაქმებელთა, პროფესორ მასწავლებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტირებული გახდა პრაქტიკულ კომპონენტებზე, დასაქმების ბაზრის მოთხოვნებსა და თანამედროვე გამოწვევებზე. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით,

დაწესებულებამ განსაზღვრა სტრატეგია, რომლის თანახმად, პროგრამაში ინტეგრირებულია ინგლისური, ფრანგული, გერმანული და რუსული ენის კურსები, სწავლების შესაბამისი დონეების მიხედვით. პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების გათვალისწინებით, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ საჭიროებებზე და მორგებული სტუდენტების ინტერესებზე. დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, გაიარონ პრაქტიკა თავიანთი ინტერესების შესაბამისად. პრაქტიკის წარმატებით გავლის შემთხვევაში, სტუდენტების დასაქმება ხორციელდება უნივერსიტეტის პარტნიორი დამსაქმებლების მიერ. პროგრამის შინაარსისა და დისციპლინების სრულფასოვანად ასათვისებლად პრაქტიკული კომპონენტის მნიშვნელობა დიდია, სტუდენტები თეორიულ ცოდნასთან ერთად ეუფლებიან პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. შესაბამისად - უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს პროფესიული კომპონენტებით დატვირთულ სასწავლო კურსებს. რომლის მიზანია, დაეხმაროს სტუდენტებს უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენონ და განიმტკიცონ პრაქტიკაში; გამოიმუშაონ უმთავრესი, პროფესიისთვის აუცილებელი - უნარ-ჩვევები. პრაქტიკული კომპონენტების წარმატებით ათვისების შესაბამისად არსებობს შესაძლებლობა, სტუდენტებმა უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა საველე სამუშაოებში და უკვე ნასწავლ დისციპლინებში ათვისებული ცოდნა, გაამყარონ პრაქტიკული გამოცდილებით. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების სახით, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო და გეოინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია თანამედროვე, კომპიუტერული სისტემით აღჭურვილი სამუშაო ოთახები, საბიბლიოთეკო სივრცეები, სპეციალური ლაბორატორიებით, უნიკალური - მუზეუმებით, **შახტებით რომელსაც პროგრამის განხორციელების მიზნიდან გამომდინარე - უმთავრესი დანიშნულება აქვს.** უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, რაც მათ ხელს უწყობს თავიანთი პროფესიისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია თანამედროვე აღჭურვილობის საბიბლიოთეკო სივრცეები, დაწესებულებას აქვს წვდომა საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებზე, უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში. სალექციო ცხრილი არის მოქნილი. დაწესებულება ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, სტიპენდიების გაცემას, მათ დაფინანსება/თანადაფინანსებას საერთაშორისო კონფერენციებსა გაცვლით პროგრამებსა თუ სხვა ტიპის აკადემიურ აქტივობებში. სტუდენტები მონაწილეობენ როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საქართველოს მასშტაბით გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში., უნივერსიტეტის სამეცნიერო პროექტების ფარგლებში ქვეყნდება წარმატებული სტუდენტების ნაშრომები პროფესორ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით დამუშავებული საკონფერენციო თეზისები, სტატიები. დაწესებულება მაქსიმალურად უცხადებს მხარდაჭერას სტუდენტებს და საჭიროების შემთხვევაში მზადაა გამოყოს დაფინანსება/სტიპენდია პარტნიორ ორგანიზაციების თანადაფინანსებით. მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე

სტუდენტებისთვის სწავლის თუ სამეცნიერო პროექტის დასაფინანსებლად. დაწესებულებას აქვს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის დიდი პრაქტიკა, ჩართულია "ერაზმუს +"-ის პროგრამაში. თანამშრომლობის ფარგლებში, სტუდენტებსა და აკადემიურ, ასევე მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით სამეცნიერო აქტივობებში. დაწესებულებას ასევე ჰყავს უცხო ქვეყნის პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებთანაც თანამშრომლობს მემორანდუმების ფარგლებში. დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერულ განვითარებაზე უწყვეტი ინფორმაციის შეგროვებას,; კარეიერული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვას. უნივერსიტეტის მიერ, სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარებისთვის, ხორციელდება არაერთი პროექტი, რომელთა მეშვეობით, დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციები, საჯარო თუ კერძო სექტორის წარმომადგენლები, როგორც პოტენციური დამსაქმებლები მართავენ შეხვედრებს სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან და განიხილავენ დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს/საჭიროებებს თავიანთი საქმიანობის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; სამაგისტრო პროგრამა; მაგისტრატურის დებულება; პროგრამის ბიუჯეტი; ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები; პროგრამის სილაბუსები; მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან; აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან,სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (**https://gtu.ge/**).
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრამა (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამთო და გეოინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშით და მასზე თანდართული დოკუმენტაციით, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციით დადგინდა, რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი პირები და საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ ჰყავდეთ თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტთა კვლევითი უნარების გამომუშავებაზე. კვლევითი ნაშრომის შესრულებას და მის საჯარო პრეზენტაციას წინ უძღვის კვლევითი უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები. სამთო და გეოინჟნერიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია ინდივიდუალური კვლევითი პროექტის შესრულება. ექსპერტთა ვიზიტის დროს, ინტერვიუირების პორცესში, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების და სამაგისტრო თემის ხელმძღვანელების მიერ აღინიშნა, რომ სტუდენტებთან სამაგისტრო თემის დამუშავების პროცესში მუშაობა, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, ონლაინ სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით, მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ყველა საჭირო რესურსით. დაწესებულების მიერ უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული იქნა უკანასკნელ პერიოდში დაცული სამაგისტრო ნაშრომები, რომელთა ნაწილი შესაბამისია დადგენილ აკადემიურ სტანდარტებთან და ზოგიერთი მათგანი საინტერესო კვლევით მიმართულებებს განსაზღვრავს. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია პლაგიატის პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება. მაგისტრატურის დებულების თანახმად, უსდ-ს განსაზღვრული აქვს: თუ რა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს აკადემიური პერსონალი იმისათვის, რომ ისინი უფლებამოსილნი იყვნენ უხელმძღვანელონ სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას. ზემოაღნიშნული დებულების თანახმად, მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სტუ-ის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, მოწვეული პერსონალი/პედაგოგი (დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი), ემერიტუსი,სტუ-თან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტის/ცენტრის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა დაწესებულების დოქტორის კადემიური ხარისხის მქონე თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება/მემორანდუმი. აღსანიშნავია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული არ აქვს, თუ რამდენი მაგისტრანტის ხელმძღვანელობა შეუძლია უფლებამოსილ პირს ერთდროულად. ვიზიტის დროს, ინტერვიუირების პროცესით, გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო თემის დამუშავების პროცესში უმეტესწილად დაბრკოლებას სტუდენტთა ენობრივი ბარიერი წარმოადგენს. აღნიშნულის შედეგად, სტუდენტები სათანადოდ ვერ ეცნობიან უცხოენოვან წყაროებს და სრულფასოვნად ვერ იყენებენ მათ კვლევის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; სამაგისტრო პროგრამა; მაგისტრატურის დებულება; დაცული სამაგისტრო

ნაშრომები; პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები; სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები; მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან; აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამაგისტრო თემების ხელმძღვანელებთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით - კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, უსდ-მ განსაზღვროს სტრატეგია, რომლის თანახმად დაინტერესებს/წაახალისებს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს, მაქსიმალურად მოახდინონ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება. ამ სტრატეგიის განვითარებით, მაგისტრანტებს ექნებათ შესაძლებლობა, კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბდნენ; ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებს, სწავლის პროცესში, ასევე კვლევითი საქმიანობის დროს, ჰქონდეთ შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებთან ჰქონდეთ მჭიდრო კომუნიკაციის შესაძლებლობა; დაიგეგმოს საჯარო ლექციები/დისკუსიები პარტნიორი საზღვარგარეთის უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის მონაწილეობით; შესაძლებელია მათი მოწვევა პროგრამის ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომების დამუშავების ეტაპზე - თანახელმძღვანელებად - განსაკუთრებით, უკვე კარგად ათვისებული ონლაინ სწავლების შესაბამისი პლატფორმების ინტეგრირებით; პარალელურად, სასურველია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რათა გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა - გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება;
- სასურველია, უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის შესაბამისად, დადგინდეს წესი, რომლის მიხედვით განისაზღვრება: ერთ პირს რამდენი სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეუძლია ერთდროულად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას „სამთო და გეიონჟინერია“ - ს ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. სტუ-ში აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც გამჭვირვალეა და შეესაბამება კანონმდებლობის, ასევე თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. კონკურსს ნიშნავს და აცხადებს სტუ-ს აკადემიური საბჭო. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს ირჩევს საკონკურსო კომისია. პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 6 წლის გამოცდილება. ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილება. ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ასევე მისი

უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება აღნიშნული ხელშეკრულებით, დამსაქმებლის წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქციებითა და დამსაქმებლის სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე სრულ საშტატო ერთეულზე აკადემიური პერსონალის წლიური დატვირთვა შეადგენს 400 საათს, ხოლო ნახევარ საშტატო ერთეულზე 200 საათს.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში „სამთო და გეოინჟინერია“ ჩართული აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ პროფესორისაგან. მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობისა და სტუ-ს შიდა რეგულაციებით დადგენილ სტანდარტებთან. აკადემიურ პერსონალს აქვს შესაბამისი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით: სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები. ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში და ფორუმებში მონაწილეობით.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი და საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. პროგრამას ახორციელებს 26 აკადემიური პერსონალი და 1 მოწვეული ასოცირებული პროფესორი, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას.

აკადემიური პერსონალიდან 16 პროფესორია, 9 ასოცირებული პროფესორი, 1 მოწვეული ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი. აღნიშნული აკადემიური პერსონალი აფილირებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შესაბამისი ხელშეკრულებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადექვატურია სტუდენტების რაოდენობასთან. გონივრული შეფასებითა და მრავალწლიანი დაკვირვების შედეგით, თანაფარდობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამას აქვს განმახორციელებელი პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს შესაბამის დატვირთვას მათზე დაკისრებული მოვალეობიდან გამომდინარე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ჩართულია ასევე საკონსულტაციო და პროგრამის განვითარების პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი პროფესიული ცოდნა, გამოცდილება, უნარები და კომპეტენცია.

მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მართვის სხვა სამსახურების ხელშეწყობით. პროგრამას უშუალოდ მოემსახურება სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც მუშაობენ სტუ-ს შესაბამის სამსახურებსა და სტრუქტურულ ერთეულებში. მოწვეული პერსონალი ჩართულია ლაბორატორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში. ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი (სულ 20) წარმოდგენილია დეკანით, დეკანის მოადგილით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსით, ფაკულტეტის ბიბლიოთეკარითა და სპეციალისტებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პერსონალის CV-ები;
- საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის ხელმძღვანელის და აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების სია;
- ბრძანება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის 2019-2020 წლის აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ;
- აკადემიური პერსონალის მიღების წესი;
- დამხმარე პერსონალის კონკურსის ჩატარების წესი;
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და კმაყოფილების კვლევას რეგულარულად აწარმოებს, აანალიზებს და აქტიურად იყენებს შეფასებისა და კვლევის შედეგებს, რათა ხელი შეუწყოს ფაკულტეტის თითოეულ აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში და პროფესიულ განვითარებაში; ერთის მხრივ, ის საშუალებას აძლევს ფაკულტეტის პერსონალს, ფაკულტეტის სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ინდივიდუალური მიზნები და ამოცანები შეიმუშაოს, მეორე მხრივ კი, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ თანამშრომლების საქმიანობის რეგულარული

შეფასება უზრუნველყოს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებში განსაზღვრულია ,,ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიეროკვლევითი საქმიანობის განვითარება“ და ,,ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა“, რომელთა წარმატებით განხორციელება მეტწილად დაფუძნებულია აკადემიური პერსონალის განვითარებაზე. შესაბამისად, უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) კვალიფიკაციის ამაღლების, საგანმანათლებლო და კვლევითი/სამეცნიერო პროცესის ეფექტიანად წარმართვის ხელშეწყობისათვის შემუშავებულია პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია“.

აღნიშნულ სტრატეგიაში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა უნივერსიტეტში ისეთი გარემოს უზრუნველყოფა, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა.

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობები გამომდინარეობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვისათვის განსაზღვრული წესებიდან, რომელიც მოიცავს სამართლიანი და ეფექტიანი დასაქმების პოლიტიკის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობას, თანამშრომელთა შეფასებას და მათ პროფესიული განვითარებისა და გადამზადების პროცესებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ახორციელებს საგრანტო კვლევით პროექტებს ინოვაციური სწავლებისა და სწავლის მეთოდების დანერგვის, საინჟინრო განათლებაში ინოვაციური კომპეტენციების და სამეწარმეო უნარების განვითარების, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობის, გარემოს დაცვის სწავლების, მიმართულებით.

აკადემიურ პერსონალს გავლილი აქვს საერთაშორისო და ადგილობრივი ტრენინგები და გადამზადების კურსები. მონაწილეობა აქვთ მიღებული საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.

როგორც ინტერვიუში პერსონალმა განაცხადა, სტუ-ში აკადემიური პერსონალის განვითარების და მარდაჭერის მექანიზმების პარალელურად, ასევე ფასდება მათი აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობა. არსებული მდგომარეობის პერიოდული ანალიზი, იძლევა შესაძლებლობას სწორად და მიზანმიმართულად დაიგეგმოს თანამშრომელთა განვითარების და წახალისების ღონისძიებები.

სტუ-ის აკადემიურ, მოწვეულ პროფესორთა და მასწავლებელთა პერსონალის მიერ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი) აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით და სტუ-სთვის მნიშვნელოვან სხვა საქმიანობაში მიღწეული შედეგების შეფასება ყოველწლიურად წარმოებს შემდეგი კრიტერიუმებით:

- აქტივობები აკადემიურ საქმიანობაში
- აქტივობები მეცნიერების ხაზით
- სტუ–სთვის მნიშვნელოვანი სხვა საქმიანობები

ამისათვის თითოეული აკადემიურ საქმიანობაში ჩართული პირი ავსებს ანკეტა-კითხვარს.

სტუ-ში და ფაკულტეტებზე ფუნქციონირებს სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოები, რომელზეც წარსადგენი სასწავლო მასალა გადაეცემა ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დასკვნის მომზადებისათვის. შესაბამისად, აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული სასწავლო- მეთოდური მუშაობის, მასალის მომზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამებთან მათი თავსებადობის შესახებ მზადდება დასკვნა, რომელსაც ეცნობა მასალის ავტორი, რაც აგრეთვე ემსახურება პერსონალის შეფასებას განვითარების მიზნით.

აკადემიური პერსონალი იყენებს სასწავლო მასალებს და სასწავლო ტექნიკურ საშუალებებს მათი ეფექტური მიწოდების მიზნით; მომზადებულ მასალებს ადვილად ხელმისაწვდომს ხდის სტუდენტებისათვის; ეხმარება ასისტენტს ან შემცვლელ ლექტორს და აწვდის მათ ყველა საჭირო ინფორმაციას. პერსონალი საკუთარი მიღწევების შესახებ ინფორმაციას განათავსებს მეცნიერული მიღწევების პერსონალურ გვერდზე.

სტუ-ში ფუნქციონირებს საფაკულტეტო კომისიები, სტუ-ს რექტორის ბრძანება (28.03.2016 №42) „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“), რომლებსაც სხვა ძირითად ფუნქციებთან ერთად ევალება აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასება. მეცადინეობების ხარისხის შეფასების პროცესი წარიმართება მეცადინეობაზე ფიზიკური დასწრებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პერსონალის CV-ები;
- საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის ხელმძღვანელის და აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების სია;
- აკადემიური პერსონალის სერტიფიკატები;
- ინტერნაციონალიზაციის კვლევა.
- დამხამრე პერსონალის კონკურისი ჩატარების წესი;
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამთო და გეოინჟინერია“ ფინანსდება ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად. ფინანსები პროგრამებისათვის განსაზღვრულია ფაკულტეტის ბიუჯეტში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, აკადემიური პერსონალის მიერ სახელმძღვანელოების გამოცემაზე. აღსანიშნავია უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო სივრცე, სადაც ინახება როგორც უნიკალური ისტორიული გამოცემები, ისე თანამედროვე, განახლებული ლიტერატურა სხვადასხვა მიმართულებით, ასევე სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილი წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ ბიბლიოთეკებზე. ამასთან, უნივერსიტეტმა განახორციელა ბიბლიოთეკაში მატერიალურად არსებული წიგნების გაციფრულება, სპეციალური ტექნიკის საშუალებით და ელექტრონულად მიწოდება სტუდენტებისათვის.

„სამთო და გეოინჟინერიის“ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-3 სასწავლო კორპუსი, რომელიც უზრუნველყოფილია კომფორტული აუდიოტორიებით. ფაკულტეტის ყველა სართული უზრუნველყოფილია სახანძრო უსაფრთხოების სისტემებითა და საევაკუაციო გეგმებით. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე 1991 წლიდან ფუნქციონირებს უნიკალური სასწავლო შახტი - ლაბორატორია. იგი წარმოადგენს ჰორიზონტალური, დახრილი, ვერტიკალური გვირაბებისა და კამერების ერთობლიობას, რომლებიც აღჭურვილია სამთო-შახტური მოწყობილობებით, მექანიზმებით და საწარმოო პროცესების მართვის ავტომატიზირებული საშუალებებით, მიწისქვეშა ელექტრომომარაგების მთელი სისტემით. გვირაბების საერთო სიგრძე 1000 მეტრის ფარგლებშია. მათი განლაგების სიღრმე მიწის ზედაპირიდან 16 და 30 მეტრია. აქ შექმნილია ყველა პირობა სტუდენტების კვლევითი მუშაობისათვის, რომელიც მაქსიმალურადაა მისადაგებული რეალურ პირობებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები) ;

- სტუ- ს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი http://opac.gtu.ge/;
- სტუ-სბიბლიოთეკის ვებ-გვერდი http://www.gtu.ge/Library/;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები .

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათივითარებისს რჩევები პროგრამის განთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, უნიკალური ისტორიული გამოცემებითა და თანამედროვე განახლებული ლიტერატურით სხვადასხვა მიმართულებით, ასევე სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილი წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ ბიბლიოთეკებზე და უნივერსიტეტის მიერ მატერიალურად არსებული წიგნების გაციფრულება და ელექტრონულად შეთავაზება სტუდენტებისათვის.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამთო და გეოინჟინერია“ ფინანსდება ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად. ფინანსები პროგრამებისათვის განსაზღვრულია ფაკულტეტის ბიუჯეტში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, აკადემიური პერსონალის მიერ სახელმძღვანელოების გამოცემაზე.

საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რაც დასტურდება ფაკულტეტის არსებული ბიუჯეტით.

პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის მენეჯერის სამსახურის მიერ და იანგარიშება პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების მიხედვით. პროგრამის ხარჯებში გათვალისწინებულია: აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის სახელფასო სარგო და საშტატო განაკვეთის დატვირთვის

მოცულობა, წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის გასაწევი ინფრასტრუქტურული ხარჯი (დენი, წყალი, გაზი, ინტერნეტი, კავშირგაბმულობა, ფოსტა, განვითარების ფონდი, ადმინისტრაცია, პრემია, დანამატი). დარგის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები, დამატებითაც გამოიყოფა აღნიშნული პროგრამისთვის, ამიტომ ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რაც დასტურდება ფაკულტეტის არსებული ბიუჯეტით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● თვითშეფასების ანგარიში; ● ფაკულტეტის ბიუჯეტი; ● პროგრამის ბიუჯეტი; ● პროგრამის ფინანსური ანალიზი; ● საგანმანათლებლო პროგრამა; ● ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთა.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების, ასევე ვიზიტის დროს ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე განხორციელდა დაწესებულებაში არსებული ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმების შეფასება. დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, უნივერსიტეტში ამ დროისათვის მიმდინარეობს ხარისხის სამსახურის რეორგანიზაცია და დაგეგმილია მთელი ცვლილებები აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განხორციელება უზრუნველყოფილია დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა აქტების მეშვეობით: 1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენილობითი საბჭოს 2020 წლის 17 იანვრის N01-06-02/05 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“; 2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის N01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“; 3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 28 მარტის N42 ბრძანება „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“; 4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენილობითი საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის N01-05-04/261 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“; 5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება № 531 „სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“; 6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის დადგენილება № 450[1] „სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის შესახებ“; 7. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის დადგენილება № 2627 „სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“’

8. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო დადგენილება № 01-05-04/346 „სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ.“

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების ნაწილი თან ახლავს თვითშეფასების ანგარიშს დანართის სახით, ხოლო ნაწილი მათგანი განთავსებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდზე, რომლის ლინკი ასევე მითითებულია თვითშეფასების ანგარიშში.

როგორც ზემოთ ხსენებული აქტების ანალიზი ცხადყოფს, მათი ნაწილი სტრუქტურულად გამართული, კანონმდებლობისა და თანამედროვე მიდგომების შესაბამისა, რომელიც აწესრიგებს ხარისხის სამსახურის საქმიანობის ამა თუ იმ მიმართულებას დეტალურად.

ასე მაგალითად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება შედგება შვიდი მუხლისგან, რომლებიც აწესრიგებს შემდეგ საკითხებს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები, სამსახურის მიზანი, ძირითადი ამოცანები, სტრუქტურა, სამსახურის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, სამსახურის სტატუსი და მართვა, დებულების მოქმედებასთან დაკავშირებული დასკვნითი ნორმები. დოკუმენტის ამგვარი სტრუქტურული წყობა აქტს წასაკითხად და აღსაქმელად მკაფიოსა და ზუსტს ხდის, საიდანაც კონკრეტულად დგინდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებაში აღნიშნული სამსახურის უფლებები და ვალდებულებები.

იგივენაირად შეიძლება შეფასდეს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი, რომელიც აწესრიგებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, პროგრამის შემუშავების (სტრუქტურა, შინაარსი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კრედიტების რაოდენობა, სწავლების ენა, დაშვების წინაპირობა, პროგრამის აღწერა, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა, დასაქმების სფერო, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსი, სილაბუსების შემუშავება), საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მისი შემდგომი შეფასებისა და განვითარების წესს, ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირებულ საკითხებს. აქტის სტრუქტურა და დარეგულირებული საკითხები მკითხველს მკაფიო წარმოდგენას უქმნის დაწესებულებაში პროგრამის დაგეგმვისა და მისი შემდგომი განხორციელების პროცესის მიმდინარეობის თაობაზე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესახებ აქტი, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციონირებისათვის საჭირო ერთ-ერთი უმთავრესი დოკუმენტია უნივერსიტეტში, წარმოადგენს საკმაოდ მოცულობით და მრავალფეროვან დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირების PDCA (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე) ციკლის პრინციპებზე დაყრდნობით. გარდა აღნიშნულისა, დოკუმენტი ადგენს ხარისხის უზრუნველყოფისათვის საჭირო მრავალფეროვან მექანიზმებს, როგორიცაა პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცებისათვის საჭირო პროცედურები, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესი, სტუდენტთა მიღება, პროგრესია, აღიარება და

სერტიფიცირება, მათი უზრუნველყოფა შესაბამისი რესურსებით (როგორც ადამიანური, ისე მატერიალური და ტექნიკური), სტუდენტების უზრუნველყოფა მუდმივად განახლებადი ინფორმაციით, ასევე უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მუდმივი მონიტორინგი და საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასება და ა.შ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მექანიზმი, ცალ-ცალკე წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უზრუნველსაყოფი მოცულობითი პროცესის საფუძველს. შესაბამისად, მიზანშეწონილია თითოეული მათგანის განხორციელების პროცესი მოწესრიგებული იყოს დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა აქტებით, საიდანაც მკაფიოდ გამოიკვეთება ამ პროცესის დაგეგმვაზე, განხორციელებაზე, საბოლოო შედეგების/დასკვნის დადებასა და აღნიშნული შედეგების უნივერსიტეტის შემდგომ საქმიანობაში იმპლემენტიციაზე/გათვალისწინებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები, მათი უფლებებითა და მოვალეობებით. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესების უზრუნველსაყოფად დაწესებულებას შემუშავებული აქვს რიგი აქტებისა, თუმცა ისინი საჭიროებენ დახვეწასა და განვითარებას. მაგალითისთვის, უნივერსიტეტში მოქმედებს რექტორის 2016 წლის 28 მარტის N42 ბრძანება „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“, რომლითაც დამტკიცებულია ერთის მხრივ, კომისიათა შემადგენლობები, ხოლო მეორეს მხრივ, ამ კომისიების რეგლამენტი. აღნიშნული რეგლამენტის თანახმად, „კომისიის მიზანია ფაკულტეტის მიერ წარდგენილი და მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის პერიოდული შეფასება. შეფასების პერიოდულობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.“ მიზანშეწონილია, რომ რეგლამენტი უფრო მკაფიოდ ადგენდეს კომისიის უფლებებსა და მოვალეობებს, მისი ფორმირებისა და შემდგომი მუშაობის პროცესს, ზუსტად იყოს განსაზღვრული რას ნიშნავს „პერიოდული შეფასება“ და მისი განსაზღვრა დამოკიდებული იყოს არა კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის სუბიექტურ გადაწყვეტილებაზე, არამედ ჰქონდეს სავალდებულო ხასიათი, ამ შეფასების შედეგების შემდგომი გათვალისწინების ვალდებულებით შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ არც „პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ აწესრიგებს ამ კონკრეტულ საკითხს. შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზი გამოვლინდა კიდეც აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში განხორციელებული გასაუბრებების დროს. თუკი პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ცხადად იცოდა პროცესი, როგორ ხდება მაგალითად, პროგრამის დაგეგმვა მისი შემდგომი განხორციელების მიზნით, კონკრეტული პროგრამისა და ამ პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტების შეფასების პერიოდულობისა და პროცესის თაობაზე განსხვავებული და არაზუსტი პასუხები იქნა მიღებული.

დაწესებულებაში ასევე მოქმედებს აქტი, სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ. აღნიშნული აქტის პირველი პუნქტის თანახმად, „უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა (გ. ძიძიგური) უზრუნველყოს მეცადინეობების ჩატარების ხარისხის პერიოდული შეფასება მეცადინეობებზე სპეციალური კომისიის დასწრებით“, ხოლო მეორე პუნქტის თანახმად, „მეცადინეობის წამყვანი პედაგოგის შეფასება განხორციელდეს შეთანხმებული კითხვარის საშუალებით.“

პროცესის გამჭირვალედ და ობიექტურად წარმართვისათვის, საჭიროა დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს დოკუმენტის, რომლითაც ზუსტად იქნება გაწერილი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების შეფასების პროცესი, მექანიზმები, კრიტერიუმები, პერიოდულობა, ამ შეფასების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები, შეფასების მონაწილენი, გამოვლენილ შედეგებზე რეაგირების პროცესი და ა.შ. გარდა ზემოხსენებულისა, ასევე გასათვალისწინებელია სტუდენტთა ჩართულობა პროგრამების განხორციელების პროცესში, მათი ინფორმაციული უზრუნველყოფა. როგორც ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, ინტერვიუსათვის შერჩეული სტუდენტების უმეტესობას არ აქვს ინფორმაცია (განსაკუთრებით პანდემიის ვითარებიდან გამომდინარე) უნივერსიტეტში მოქმედ სავალდებულო აქტებთან დაკავშირებით, ასევე არ მიუღია მონაწილეობა პროგრამისა თუ კონკრეტული სასწავლო კომპონენტის შეფასებაში. შემთხვევით შერჩეული სტუდენტების ჯგუფთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგები არ წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებას იმისა, რომ უნივერსიტეტის არ ზრუნავს სტუდენტთა ინფორმირების მექანიზმების განვითარებაზე, თუმცა, მიზანშეწონილია, დაწესებულებამ უფრო მეტად უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის განვითარებაში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა და შექმნილი ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, მეტად მოახდინოს ელექტრონული და პროგრამული რესურსების იმგვარი განვითარება, რაც საშუალებას მისცემს როგორც სტუდენტებს, ისე თავად უნივერსიტეტის პერსონალს, მენეჯმენტის ყველა დონეზე, რომ უზრუნველყონ შეფასების პროცესებში მონაწილეობა, ასევე საჭირო ინფორმაციის მიღება. აღნიშნული ასევე გულისხმობს ზემოთ ჩამოთვლილი ყველა კატეგორიაში შემავალი პირების რაც შეიძლება ფართო კონტიგენტის ჩართულობის უზრუნველყოფას შესაბამის პროცესებში, ობიექტური და სრულყოფილი შედეგების მისაღებად.

ამასთან, აუცილებელია, მოწესრიგებული იყოს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის პერიოდულობასთან, ამ კვლევის პროცესსა და მისი შედეგების გათვალისწინებასთან დაკავშირებული საკითხები იმგვარად, რომ მას შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი ჰქონდეს და არ იყოს მისი განხორციელება ყოველ ჯერზე კონკრეტული სუბიექტების მოსაზრებებზე დამოკიდებული. დაწესებულებაში სასურველია არსებობდეს ერთიანი ფორმა ამ კვლევების განხორციელებისათვის, რაც გულისხმობს დამტკიცებული კითხვარების, ოქმებისა თუ სხვა დოკუმენტის არსებობას, რომელიც ყოველ ჯერზე იქნება გამოყენებული კვლევის განმახორციელებელი სუბიექტის მიერ, ან გაწერილი იყოს პროცესი, როგორ ხდება ამ კითხვარების შემუშავება ყოველი კვლევის წინ, ვინ შეიმუშავებს და როგორ მტკიცდება საბოლოო ფორმა. აღნიშნული კვლევები კი რეკომენდირებულია მოიცავდეს არამხოლოდ სასწავლო კომპონენტებისა თუ პროფესორ-მასწავლებლების შეფასებას, არამედ ისეთ საკითხებსაც, როგორიცაა საუნივერსიტეტო ცხოვრება, ადმინისტრაციის (როგორც ცენტრალური, ისე საფაკულტეტო) მუშაობას და ა.შ. მნიშვნელოვანია, მკაფიოდ იყოს გაწერილი შესაბამისი მარეგულირებელი აქტით, როგორ ხდება ამა თუ იმ კვლევის შედეგების გათვალისწინება პროგრამისა თუ დაწესებულების საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნებისათვის.

როგორც ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, პროგრამის განხორციელებაში აქტიურად

არიან ჩართულები საქართველოს ბაზარზე მოქმედი მსხვილი დამსაქმებლები, რომლებმაც საკმაოდ კომპეტენტურად და დეტალურად წარმოადგინეს საკუთარი მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით. ამასთან, ყველა მათგანმა აღნიშნა, რომ მათ ჩართულობას პროგრამის დაგეგმვაში, შეფასებასა თუ ცვლილებების
განხორციელებაში აქვს მუდმივი და ხშირი ხასიათი და ისინი უზრუნველყოფენ რეგულარულ უკუკავშირს დაწესებულებასთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ კონკრეტული პროგრამისათვის ყველა დამსაქმებელმა დაადასტურა დაწესებულების აქტიური თანამშრომლობა მათთან, მიზანშეწონილია, რომ დამსაქმებლებთან ურთიერთობების დეტალებიც მოწესრიგებული იყოს შესაბამისი შიდა აქტით, რომელიც საერთო იქნება უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ყველა პროგრამის მიზნებისათვის.
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის N01-05-04/152 დადგენილებით დამტკიცებული აქვს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი.“ წესი არეგულირებს ვებ-პლატფორმა „Strikepagiarism.com”-ის მეშვეობით უნივერსიტეტში შესრულებულ კვლევით ნაშრომებში პლაგიატის გამოვლენის პროცესს, მათ შორის, შემოწმების პროცედურებს პროგრამის მეშვეობით, გამოვლენილი შედეგების განხილვის, ასევე შედეგების გასაჩივრებისა და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი რეაგირების წესს. აღნიშნულ შემოწმების პროცესს გადის დაწესებულებაში შესრულებული ყველა ნაშრომი. თუმცა სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, გამოიკვეთა, რომ მათ ნაკლბად აქვთ ინფორმაცია პლაგიატისა და მისი დარღვევის გამო შესაბამისი შედეგების თაობაზე. ამდენად, მიზანშეწონილია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აღნიშნული საკითხის თაობაზე მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პროგრამის კურიკულუმში არ არის გათვალისწინებული აკადემიური წერის სასწავლო კომპონენტი, რომლის ფარგლებში სტუდენტებს წარმოდგენა შეექმნებოდათ სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებული აკადემიური სტანდარტებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების თაობაზე.
დაწესებულებაში მოქმედებს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების 2017 წლის 30 ივნისის ერთიანი N33 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის აფილირების წესი, ასევე აკადემიური საბჭოს 2010 წლის 14 მაისის N253 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია. მითითებული აქტებით რეგულირებულია უსდ-სთან პერსონალის აფილირების პირობები და შემდგომში როგორც მათი, ისე მოწვეული ლექტორების დატვირთვის გაანგარიშების წესი. თუმცა მიზანშეწონილია, ასევე განისაზღვროს იმ სტუდენტების გონივრული რაოდენობა, რომელთა კვლევითი ხელმძღვანელობის გაწევა შეუძლია დაწესებულებაში დასაქმებულ პერსონალს, მისი მთლიანი დატვირთვის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენილობითი საბჭოს 2020 წლის 17 იანვრის N01-06-02/05 დადგენილებით დამტკიცებული **„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;**

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის N01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული **„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;**

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 28 მარტის N42 ბრძანება **„საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“**;

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენილობითი საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის N01-05-04/261 დადგენილებით დამტკიცებული **„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“;**

5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება № 531 **„სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“;**

6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის დადგენილება № 4501 **„სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის შესახებ“;**

7. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის დადგენილება № 2627 **„სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“**

8. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო დადგენილება № 01-05-04/346 **„სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ.“**

9. აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის N01-05-04/152 დადგენილება **„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესის შესახებ“**

10. აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების 2017 წლის 30 ივნისის ერთიანი N33 დადგენილებით დამტკიცებული **„აკადემიური პერსონალის აფილირების წესი“**

11. აკადემიური საბჭოს 2010 წლის 14 მაისის N253 დადგენილებით დამტკიცებული **„აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია“**

12. სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმები;

13. სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

1. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მარეგულირებელი შიდა აქტების შემუშავება, რათა მათ ერთგვაროვანი ხასიათი ჰქონდეს დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის სწავლების ყველა საფეხურზე;

2. მუდმივად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დაწესებულებაში მოქმედი შიდა აქტების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ ნორმებთან, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების პარალელურად;

3. პროცესები მეტად ფორმალიზებული და გაწერილი უნდა იყოს, მათი სავალდებულოდ შესრულების მიზნით.

4. დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ცნობიერების ამაღლება კვლევითი ნაშრომის შესასრულებლად აკადემიური წერის სტანდარტებისა და პლაგიატის თაობაზე;

5. დაწესებულებამ პერსონალის აკადემიური დატვირთვის გაანგარიშების კომპონენტში უნდა გაითვალისწინოს სტუდენტთა რაოდენობრივი კვოტა, რომელთა

კვლევითი ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა შეუძლია მასთან დასაქმებულ პერსონალს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ელექტრონული სერვისების განვითარება, როგორც სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ასევე დაწესებულებისა თუ ფაკულტეტის ადმინისტრაციის სამუშაო პროცესის მენეჯმენტის უზრუნველყოფის მიზნით; 2. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტების მეტი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციების შესახებ. 3. მიზანშეწონილია, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, შესაბამისმა პასუხისმგებელმა სტრუქტურულმა ერთეულმა განახორციელოს დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი აქტების კოდიფიცირება, მასში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, რათა დაინტერესებულ პირებს ერთიან აქტში ჰქონდეთ მოქმედი მარეგულირებელი ნორმების გაცნობის შესაძლებლობა; 4. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა შიდა რეგულაციის საბოლოო, მოქმედი რედაქცია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში. სტუდენტებისათვის მათ მიერ შეთავაზებული სასწავლო პრაქტიკის, სტაჟირების, საზაფხულო სკოლებისა და შერჩეულ სტუდენტებთან გრძელვადიანი ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის განხორციელება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 65/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 99/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. სამთო და გეოინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის

საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის № 487 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია. პროგრამას გარე ხარისხის შეფასების დროს ექსპერტებს შენიშვნები და რეკომენდაციები არ დაუფიქსირებიათ. 2012 წლიდან დღემდე წელიწადში ერთხელ ხორციელდებოდა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროგრამის წლიური თვითშეფასების წარდგენა, რომელშიც აისახებოდა წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები. დაწესებულებას არ წარმოუდგენია ინფორმაცია გარდა ზემოხსენებულისა, პროგრამის დამატებითი გარე შეფასების განხორციელების თაობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. თვითშეფასების ანგარიში; 2. აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება https://eqe.ge/media/5854/487_28.09.2012.pdf
რეკომენდაციები: პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო გარე შეფასების პროცედურებისა, განახორციელოს პროგრამის გარე შეფასება ისეთი პროცედურების მეშვეობით, როგორიც არის განმავითარებელი შეფასება, მოწვეული ექსპერტების მიერ პროგრამების შეფასება და დასახოს სამოქმედო გეგმა მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებითსათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტი პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს და აფასებს პროგრამის განხორციელების პროცესს. შეფასებაში მონაწილეობენ უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. გამოკითხვის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ადგენს გამოკითხვაში მონაწილე პირთა კატეგორიის საჭიროებებსა და მოლოდინებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში. ამასთან, გამოკითხვის შედეგების გაანალიზების საფუძველზე, ხორციელდება პროგრამის მოდიფიცირება. გარდა აღნიშნულისა, როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს პროცესში, პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა პირებმა განაცხადეს, სააკრედიტაციოდ მზადების პროცესში, წარმოდგენილი პროგრამა შედარდა უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებულ მსგავს საგანმანათლებლო პროგრამებს.

როგორც თვითშეფასებაშია აღნიშნული და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებიდანაც დგინდება, პროგრამა, ასევე მისი შემადგენელი ცალკეული სასწავლო კომპონენტები პერიოდულად ფასდება სტუდენტების, ასევე კურსდამთავრებულების მიერ. თუმცა ინტერვიუების შედეგად, ასევე გამოიკვეთა, რომ ამ შეფასებას აკლია სისტემატიური ხასიათი, რომლის განხორციელების პერიოდულობა განსაზღვრული იქნებოდა კონკრეტული მარეგულირებელი შიდა აქტით. თუმცა აკადემიური პერსონალის განცხადებით, ისინი თავადაც ინტერესდებიან სტუდენტების შეფასებებით და როგორც ერთ-ერთი სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელმა, დარეჯან თევზაძემ განაცხადა, სტუდენტების შეფასებების გათვალისწინებით, იგი ცდილობს სილაბუსში შესაბამისი ცვლილებები განახორციელოს, მათ ინტერესებზე მორგებით. სტუდენტებმა ინტერვიუების შედეგად ასევე დაადასტურეს, რომ მათ მონაწილეობა მიუღიათ პროგრამისა თუ ცალკეული სასწავლო კომპონენტისა და ამ კომპონენტის ხელმძღვანელის შეფასებაში, თუმცა ვერ დაადასტურეს ამ შეფასების პერიოდულობა. ინტერვიუსთვის შერჩეული კურსდამთავრებულების ნაწილის განცხადებით, მათ შეავსეს დაწესებულების მიერ გადაგზავნილი კითხვარი პროგრამის სააკრედიტაციოდ მზადების პროცესში, ნაწილის განცხადებით კი მათ მსგავსი შეფასება არ განუხორციელებიათ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტს სჭირდება უკეთესად შემუშავებული პოლიტიკა, შესაბამისი აქტით გამყარებული განხორციელების პროცესი და მექანიზმები პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდული შეფასების მიზნით. აუცილებელია დაწესებულებაში არსებობდეს დოკუმენტი, რომლითაც მკაფიოდ იქნება დადგენილი პროგრამის, ასევე ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეფასებისა და განვითარების მიზნით, გამოკითხვებისა და შესაბამისი პირთა წრის კმაყოფილების კვლევის განხორციელების სიხშირე (ყოველი სემესტრისა თუ წლის ბოლოს), მექანიზმები (რომლებიც ხელმისაწვდომს გახდის შესაბამის კითხვარებს შესაბამისი კატეგორიის პირთა რაც შეიძლება ფართო წრისათვის), მისი განხორციელების სავალდებულო ხასიათი, განმახორციელებელი პასუხისმგებელი პი(ებ)ი, შეგროვებული მონაცემების დამუშავებისა და აღნიშნულის საფუძველზე მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების

მიზნებისათვის გამოყენების პროცესი. საჭიროა ამ პროცესს ჰქონდეს პერმანენტული ხასიათი და არ ხორციელდებოდეს მხოლოდ თვითშეფასების ანგარიშის მზადებისას. აუცილებელია, რომ ამ ყველაფრის თაობაზე ინფორმაცია მიეწოდოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ყველა პირს, ასევე პროგრამის მთავარ ბენეფიციარებს - სტუდენტებს. უნივერსიტეტმა უნდა შექმნას მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა პირს, მონაწილეობა მიიღონ შეფასებაში, ხოლო თავად დაწესებულებას ექნება საშუალება მიიღოს მაქსიმალურად ობიექტური და რეალისტური სურათი გამოკითხულ პირთა საჭიროებებსა და მოლოდინებზე. დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება № 531 „სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ და 2016 წლის 28 მარტის N42 ბრძანება „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შექმნის შესახებ“ არასაკმარისად აწესრიგებს ზემოთ მითითებული მიზნებისათვის საჭირო შინაარსობრივ და პროცესუალურ საკითხებს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა უნდა დახვეწოს და განავითაროს აღნიშნული პროცესი როგორც მომწესრიგებელი შიდა აქტების, ისე შემდგომ ამ აქტებით დამტკიცებული პროცედურების პრაქტიკაში განხორციელების გზით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. **”სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ”** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის № 531 დადგენილება 2. დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ 3. სტუდენტთა მიერ პედაგოგთა შეფასება 4. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები 5. კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები 6. ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: 1. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების მარეგულირებელი, სავალდებულო ერთიანი შიდა აქტი, რომელიც დეტალურად აღწერს შეფასების განხორციელების პროცესს; 2. აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის არსებობა შეფასების შედეგების შემდგომი გამოყენებისა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის; 3. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა პირს;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): დამსაქმებელთა აქტიური ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		V		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: სამაგისტრო პროგრამა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 49

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	V			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	V			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		V		

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა /ნინო დონდოლაძე/

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა /ზურაბ მეგრელიშვილი/

სახელი, გვარი, ხელმოწერა /კახა ქოიავა/

სახელი, გვარი, ხელმოწერა /სოფიო უგრეხელიძე/

სახელი, გვარი, ხელმოწერა /თათია უბერი/